

28.10.2014

სხდომას ესწრებოდა 12 წევრიდან 8

**დღის წესრიგი:**

1. პროფ. მ. ხომასურიძის სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით (ნ.წერეთელი).
2. პროფ. გ. ჭირაქაძის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით (ნ. კუციავა).
3. მიმდინარე საკითხები

**მოისმინეს:**

**პროფ. ნ. წერეთელი:** მან აღნიშნა, რომ რექტორის ვიზირებით შემოსულია პროფესორ მ. ხომასურიძის განცხადება სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით, თურქეთში II საერთაშორისო სასურსათო ტექნოლოგიის კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. იგი თხოულობს 2103 ლარს. მან სათათბიროს წევრებს შეახსენა ის მოთხოვნები, რითაც ანალოგიურ სიტუაციაში ხელმძღვანელობს სათათბირო.

**აზრი გამოთქვას:**

**პროფ. ზ.კოვზირიძე:** მან აღნიშნა, რომ გამონაკლისის წესით მოხდეს პროფ. მ. ხომასურიძის სამივლინებო ხარჯების სრული დაფარვა, ვინაიდან არის წლის ბოლო და ნაკლებადაა მოსალოდნელი სხვა პირთა მივლინებები.

**პროფ. ზ.ლომსაძე:** მან აღნიშნა, რომ ვინაიდან სამივლინებო მუხლში არის თანხა სრულად მოხდეს ხარჯების დაფარვა. მითუმეტეს, რომ გამონაკლისის წესით სხვა დროსაც მიგვიღია ასეთი გადაწყვეტილება.

**ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს პროფესორებმა:** ნ. კუციავამ, ლ. გვასალიამ და სათათბიროს სტუდენტმა წევრებმა.

**პროფ. მ. მაისურაძე:** მან აღნიშნა, რომ სათათბირომ უნდა იხელმძღვანელოს თავისი მიღებული წესით და ამ შემთხვევაშიც მოხდეს სამივლინებო ხარჯების ნაწილობრივი დაფარვა.

**ამ წინადადებას მხარი დაუჭირა პროფ. მ. მშვილდაძემ**

**დაადგინეს:**

იმის გათვალისწინებით, რომ არის წლის ბოლო, გამონალისი სახით, სრულად მოხდეს პროფ. მ. ხომასურიძის სამივლინებო ხარჯების დაფარვა და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს 2103 ლარი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

**მოისმინეს:** პროფ. ნ. კუციავა: მან აღნიშნა, რომ ახლოვდება პროფ. გ. ჭირაქაძის დაბადებიდან 80 წლის იუბილე და წამოაყენა წინადადება გ. ჭირაქაძის სახელი მიენიჭოს იმ ოთახს, სადაც მას უწევდა მოღვაწეობა.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა ლ. გვასალია, ზ. კოვზირიძე.  
მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას.

**დაადგინეს** პროფ. გ. ჭირაქაძის სამუშაო ოთახს ეწოდოს მისი სახელობის სასწავლო კაბინეტი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

ნ. წერეთელი

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე